

Dublin Office:
22 Upper Ormond Quay,
Dublin 7, Ireland
Ph: +353 (0)1 872 0008
Fax: +353 (0)1 874 8032
E-mail: translations@wordperfect.ie
Web: www.wordperfect.ie

Cork Office:
14 Penrose Wharf,
Cork, Ireland
Ph: +353 (0) 21 4861404
Fax: +353 (0) 21 4861303
Lo-call: 1890 707 707 (24hrs)
Email: cork.translations@wordperfect.ie

**International Protection Office
Irish Naturalisation and Immigration Service
79-83 Lower Mount St.
Dublin 2, D02ND99**

Tuesday, 02 October 2018

To Whom It May Concern:

This is to certify that the English to Georgian translation, reference “GDPR Privacy Notice -IPO (PP) 52 Rev 1” is a true & accurate translation. It reflects the writing style, punctuation and phrase structure used in the original text.

Yours sincerely,

Translation PM
Word Perfect Translations





საერთაშორისო დაცვის
სამსახური

ზოგად მონაცემთა დაცვის
რეგულაცია
კონფიდენციალურობის უწყისი

1. თქვენს მიერ მოწოდებული მონაცემების შეგროვება ხდება ირლანდიის ნატურალიზაციისა და იმიგრაციის სამსახურის (INIS) საერთაშორისო დაცვის ოფისის (IPO) მიერ (იუსტიციისა და თანასწორობის დეპარტამენტის ნაწილი). მონაცემების კონტროლიორის საკონტაქტო მონაცემებია:

International Protection Office
Irish Naturalisation and Immigration Service
79 – 83 Lower Mount Street
Dublin 2
D02 ND99

2. ჩვენ შეიძლება გამოვიყენოთ თქვენი პირადი მონაცემები, რომელსაც წარადგენთ საერთაშორისო დაცვის სამსახურში, საერთაშორისო დაცვისა და საჭიროების შემთხვევაში, პირველ ინსტანციაში დარჩენის ნებართვის გაცემის კრიტერიუმებთან თქვენი შესაბამისობის შეფასების მიზნით, შესაბამისი ნორმატიული ჩარჩოს შესაბამისად. ეს მონაცემები მოიცავს *საერთაშორისო დაცვის კითხვარის განაცხადით (IPO 2)* თქვენს მიერ მოწოდებულ მონაცემებს და სხვა პირად მონაცემებს, რომლებიც შეიძლება მიაწოდოთ IPO-ს ნებისმიერი სხვა ფორმით ან საშუალებით; საჭიროების შემთხვევაში, სამართლიანობისა და თანასწორობის განყოფილებამ ან/და ირლანდიის ნატურალიზაციისა და იმიგრაციის სამსახურმა შეიძლება გამოიყენოს საერთაშორისო დაცვის კითხვარის განაცხადით (IPO 2) თქვენს მიერ მოწოდებული პირადი მონაცემები და გაითვალისწინოს ისინი მომავალში თქვენი მიგრანტობის სტატუსის ან მოქალაქეობის საკითხის განხილვისას.

Georgian

3. ჩვენს მიერ მონაცემების შეგროვებისა და დამუშავების სამართლებრივი საფუძველია:

- i. 2015 წლის საერთაშორისო დაცვის აქტი და მასში გათვალისწინებული დებულებები
- ii. 2018 წლის ევროკავშირის (დუბლინის სისტემის) დებულებები
- iii. ევროპული საზოგადოებების (შესაბამისობა დაცვის მისაღებად) 2006 წლის რეგულაციები
- iv. ევროკავშირის (შვილობილის დაცვა) 2013 წლის რეგულაციები, შესწორებული ვერსია
- v. ევროკავშირის დუბლინის რეგულაცია
- vi. ევროკავშირის ევროდაკის რეგულაცია

4. მონაცემების გაზიარება შეიძლება მოხდეს სხვა სახელმწიფოებთან, სადაც მოქმედებენ ევროკავშირის დუბლინის რეგულაციები, იმ შემთხვევაში, თუ თქვენი განაცხადი საერთაშორისო დაცვაზე რეგულირდება ევროკავშირის რეგულაციებით.

5. წარმოდგენილი პირადი მონაცემები, საიმედოდ იქნება შენახული, იუსტიციის და თანასწორობის დეპარტამენტის ინფორმაციული ტექნოლოგიების სერვერებზე. შიდა მონაცემების ირლანდიის ნატურალიზაციისა და იმიგრაციის სამსახურის ან/და სამართლიანობისა და თანასწორობის დეპარტამენტისთვის გაზიარების გარდა, საჭიროების შემთხვევაში შეიძლება გაზიარებული იქნას სხვა სამთავრობო უწყებებში/სააგენტოებში, მათ შორის:

- ა. An Garda Síochána
- ბ. იურიდიული დახმარების საბჭო
- გ. დასაქმებისა და სოციალური დაცვის დეპარტამენტი
- დ. Tusla – ბავშვისა და ოჯახის სააგენტო
- ე. ჯანმრთელობის სამსახურის აღმასრულებელი

ინფორმაცია შეიძლება ასევე გაზიარებული იქნას ჩვენს თარჯიმანთა ოფისთან.

6. მოცემული პირადი მონაცემები, შეიძლება ასევე გაზიარებული იქნას, გაეროს ლტოლვილთა უმაღლეს კომისართან, საერთაშორისო დაცვის პროცესის მხარდასაჭერის მანდატის მიხედვით.

7. ამ ცნობასთან დაკავშირებით, ნებისმიერი შეკითხვის შემთხვევაში ჩვენი საკონტაქტო მონაცემებია:

ინფორმაციაა:

International Protection Office

Irish Naturalisation and Immigration Service
79 – 83 Lower Mount Street
Dublin 2
D02 ND99.

8. ეს მონაცემები შენახული იქნება აღნიშნული სამართლიანობისა და თანასწორობის დეპარტამენტის განრიგებისა და ეროვნული არქივის 1986 წლის აქტის შესაბამისად.
9. თქვენ შეგიძლიათ მოითხოვოთ პირადი მონაცემების ასლი, რომელსაც ჩვენ ვფლობთ. ამის გაკეთება შეგიძლიათ, საგნის წვდომის მოთხოვნის ფორმის შევსებით, რომელიც ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: http://www.justice.ie/en/JELR/Pages/Data_Protection ან სამართლიანობისა და თანასწორობის ნებისმიერ დეპარტამენტში, საჯარო სამსახურში და შეგიძლიათ იგი გადააგზავნოთ შემდეგ მისამართზე: subjectaccessrequests@justice.ie ან ფოსტის მეშვეობით გაუგზავნოთ სამართლიანობისა და თანასწორობის დეპარტამენტის მონაცემთა დაცვის ოფიცერს, მე-11 პუნქტში მითითებულ მისამართზე. თქვენ უნდა დაამტკიცოთ თქვენი ვინაობა თქვენთვის რაიმე მონაცემების მოწოდებამდე.
10. თქვენ გაქვთ უფლება შეასწოროთ ნებისმიერი უზუსტობა თქვენს მონაცემებში. ამისათვის საჭიროა, რომ მიწეროთ ირლანდიის ნატურალიზაციისა და იმიგრაციის სამსახურის საერთაშორისო დაცვის სამსახურს, 1 პუნქტში მითითებულ მისამართზე და მიუთითოთ ის უზუსტობებს, რომელთა შესწორებაც უნდა მოხდეს.
11. თქვენ გაქვთ უფლება, საჭიროების შემთხვევაში, მოითხოვოთ თქვენი მონაცემების წაშლა და/ან თქვენი მონაცემების დამუშავების შეზღუდვა, ასევე გააპროტესტოთ თქვენი მონაცემების დამუშავება. გარდა ამისა, თქვენ გაქვთ უფლება საჩივარი შეიტანოთ მონაცემთა დაცვის კომისიაში. თქვენი მონაცემთა დაცვის უფლებებთან დაკავშირებით, დამატებითი ინფორმაცია, შეგიძლიათ იხილოთ სამართლიანობისა და თანასწორობის განყოფილების მონაცემთა დაცვის პოლიტიკაში, რომელიც ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: http://www.justice.ie/en/JELR/Pages/Data_Protection.

თქვენ შეგიძლიათ დაუკავშირდეთ სამართლიანობისა და თანასწორობის განყოფილების მონაცემთა დაცვის ოფიცერს ფოსტის საშუალებით შემდეგ მისამართზე:

**The Data Protection Officer
Department of Justice and Equality
51 St. Stephen's Green
Dublin 2
D02 HK52**

ან

ელ.ფოსტით: dataprotectioncompliance@justice.ie

12. ეს კონფიდენციალურობის უწყისი ანაცვლებს *საერთაშორისო დაცვის*
აპლიკანტებისთვის (IPO 1) საინფორმაციო ბუკლეტში
წარმოდგენილ ინფორმაციას.

საერთაშორისო დაცვის სამსახური

2018 წლის ივლისი